დანართი ვ. საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის მომზადებისას საზოგადოების მონაწილეობის პროცესის მიმოხილვა

საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობითა და მონაწილეობით. დაინტერესებული მხარეები მოიცავდა როგორც სხვადასხვა საჯარო უწყების, ასევე კერძო და არასამთავრობო სექტორების წარმომადგენლებს.

<u>საზოგადოების ინფორმირება და საჯარო განხილვები ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის შემუშავების ეტაპზე</u>

ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის შესახებ დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრისა და საზოგადოების ინფორმირების, ასევე, მათი დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ენერგეტიკული გაერთიანების მხარდაჭერით, 2021 წლის ოქტომბერი - 2022 წლის აპრილის პერიოდში, ჩაატარა არაერთი შეხვედრა (ონლაინ ფორმატში) არასამთავრობო ორგანიზაციების, დამოუკიდებელი ექსპერტების და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან. შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ვრცელდებოდა სოციალური არხებისა და სატელევიზიო საინფორმაციო საშუალებებით.

ონლაინ ფორმატში ჩატარებულ შეხვედრებზე განიხილებოდა ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის ძირითადი თემატური საკითხები. შეხვედრის პირველი ნაწილი ეთმობოდა სამინისტროს მხრიდან საკითხის პრეზენტაციას, ხოლო მეორე ნაწილი მიმდინარეობდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. აღნიშნულ პერიოდში სულ ჩატარდა 10 ონლაინ შეხვედრა. შეხვედრების თემატიკა და თარიღები შეჯამებულია 1-ელ ცხრილში:

ცხრილი 1: ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის საჯარო განხილვები

N	შეხვედრის თემა	შეხვედრის თარიღი
1	საქართველოს ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის მიმართულებების მიმოხილვა	20.10.2021
2	1. პროგნოზების და TIMES-Georgia მოდელის შემუშავების მეთოდოლოგია (მეთოდი, მოდელირების ჩარჩო, ანალიზის მიზანი, სცენარების განსაზღვრა);	5.11.2021

	2. გასული ტენდენციების ანალიზი პროგნოზებისთვის და ინფორმაცია საბაზისო წლის შესახებ (მონაცემთა წყაროები, ტენდენციები და ძირითადი მიგნებები, საბაზისო წლის შერჩევა).	
3	1. Time-ის მოდელის მონაცემთა ბაზის აღწერა; 2. შესაბამისი სცენარებისთვის გამოყენებული დაშვებები და სამიზნე მაჩვენებლები; 3. ენერგეტიკის სექტორში პოტენციური ღონისძიებების აღწერა თავისი სამიზნე მაჩვენებლებით	19.11.2021
4	ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის ენერგოეფექტურობის კომპონენტები	3.12.2021
5	ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის მოდელირების სცენარების შედეგები ენერგეტიკის სექტორისთვის და მათი ზემოქმედება და ფინანსური საჭიროებები	16.12.2021
6	დეკარბონიზაცია	17.01.2022
7	1. ენერგეტიკული უსაფრთხოების მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასება 2. ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების პრიორიტეტები	15.02.2022
8	1. ენერგეტიკული უსაფრთხოება 2. ელექტროენერგეტიკული საბალანსო ბაზრის მიმოხილვა	10.03.2022
9	შიდა ენერგეტიკული ბაზარი	28.03.2022
10	კვლევა, ინოვაცია და კონკურენტუნარიანობა	11.04.2022

ამასთან ერთად, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, ჩატარდა ორი დამატებითი შეხვედრა შემდეგ საკითხებზე:

- ჰიდროელექტროსადგურები საქართველოში (09.02. 2022); და
- ენერგოეფექტურობა(16.02.2022).

შეხვედრების მიზანი იყო დამატებითი განმარტებების გაკეთება და მონაწილეების მხრიდან წამოჭრილ კითხვებზე პასუხების გაცემა გეგმაში წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ ორ საკითხთან დაკავშირებით. შეხვედრაზე ვრცლად იყო განხილული მარეგულირებელი ჰიდროელექტროსადგურების მნიშვნელობა ენერგოსისტემისათვის და ენერგოეფექტურობის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებები. სამინისტრო აკეთებდა შეხვედრების ვიდეო ჩანაწერებს, რომლებიც, სამინისტროს მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციებთან ერთად, ეგზავნებოდათ

შეხვედრების მონაწილეებს. შეხვედრებზე დასმულ კითხვებზე დაინტერესებული მხარეები პასუხებს წერილობითაც ღებულობდნენ. შეხვედრების მონაწილეებს, ასევე, ეცნობათ მათ მიერ წამოჭრილი საკითხების გეგმაში გათვალისწინების შესახებ. პასუხები წარმოდგენილი იყო დასაბუთებული სახით.

აღსანიშნავია, რომ მოცემული შეხვედრები არ წარმოადგენდა კანონით გათვალისწინებულ ვალდებულებას და ეს პრაქტიკა სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა, რათა ყველა მხარეს მიეღო მაქსიმალურად ამომწურავი და ობიექტური ინფორმაცია და ჰქონოდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირების შესაძლებლობა.

<u>დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა სახელმწიფო ენერგეტიკულ პოლიტიკის შემუშავების ეტაპზე</u>

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, დოკუმენტზე მუშაობის დაწყებამდე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2021 წლის 24 დეკემბრის ბრძანებით შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელიც დაკომპლექტდა სამინისტროების მაღალი რანგის წარმომადგენლებით. კერძოდ, საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი (საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე), საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე და საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

საკოორდინაციო საბჭოს ქვეშ შეიქმნა 8 თემატური ჯგუფი დოკუმენტის პროექტის ქვეთავების შესაბამისად. თემატურ ჯგუფებში შედიოდნენ როგორც საჯარო უწყებების, ასევე კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ასოციაციების წარმომადგენლები. დოკუმენტის შემუშავებისას, თითოეული თავზე მომზადდა შენიშვნები შესაბამისი თემატური სამუშაო ჯგუფს წარმომადგენლების მიერ. შენიშვნების მიხედვით გასწორებულ დოკუმენტზე ჩატარდა სამუშაო შეხვედრები. საერთო ჯამში, 2022 წლის თებერვალი-მარტის პერიოდში, დოკუმენტის სამუშაო ვერსიაზე ჩატარდა 7 სამუშაო შეხვედრა თემატურ ჯგუფებთან. შემდგომში დოკუმენტი აიტვირთა სამინისტროს ვებგვერდზე საჯარო კომენტარებისთვის. ასევე, ჩატარდა ორი საჯარო განხილვა - ერთი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის წარმომადგენლების (27.07.2022), ხოლო მეორე, კერძო სექტორისა და მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით (01.12.2022), რის შემდეგაც დოკუმენტის საბოლოო ვერსია გაეგზავნა საკოორდინაციო საბჭოს.

განხილვების დროს მიღებული მოსაზრებების/კომენტარების დოკუმენტში ასახვის თაობაზე ემცნო კომენტარების ადრესატებს.

შეხვედრების თემატიკა და თარიღები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2: სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის საჯარო განხილვები

N	შეხვედრის თემა	შეხვედრის თარიღი
1	ენერგეტიკული სიღარიბე და მოწყვლადი მომხმარებლების დაცვა განხილული საკითხები: • მეცნიერების, კვლევის და ინოვაციების სექტორის ძირითადი გამოწვევები ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით; • მეცნიერების, კვლევის და ინოვაციების სექტორის შეფასების ინდიკატორები; • ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების მიმართლებით კვლევების და ინოვაციების პრიორიტეტები. • ენერგეტიკისა და მდგრადი განვითარების მიმართულებით მეცნიერების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების მონიტორინგის მექანიზმი; • სამეცნიერო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების შესაძლებლობები.	4.02.2022
2	ენერგეტიკული უსაფრთხოება განხილული საკითხები: ა. ენერგეტიკული უსაფრთხოების მხრივ არსებული მდგომარეობის შეფასება • ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითადი მაჩვენებლები და მთავარი გამოწვევები; • ენერგეტიკული სისტემის მედეგობა ბუნებრივი და ადამიანური რისკების მიმართ. ბ. ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების პრიორიტეტები • ენერგიის იმპორტის წყაროების და მარშრუტების დივერსიფიკაცია; • ენერგიის იმპორტდამოკიდებულების შემცირება ადგილობრივი წყაროების განვითარებით (განახლებადი და არაგანახლებადი); • ენერგეტიკული სისტემის მედეგობის და მოქნილობის გაზრდა; • რეგიონული თანამშრომლობა და საერთაშორისო სატრანზიტო პროექტების ხელშეწყობა; • ენერგეტიკული სისტემის კიბერუსაფრთხოება, ბუნებრივი რისკები, ადამიანური რისკები.	11.02.2022
3	ენერგეტიკის ეკონომიკური მაჩვენებლები განხილული საკითხები: • სექტორის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების მიმოხილვა; • ინვესტიციების მოზიდვის და წახალისების მექანიზმები;	15.02.2022

	• ელექტროენერგიის საექსპორტო მოცულობების გაზრდის მექანიზმები და პოტენციური ბაზრები; • რეგიონული თანამშრომლობის და ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის შესაძლებლობების განხილვა; • კვაზიფისკალური აქტივობები და წარმოების სუბსიდირება.	
4	ენერგეტიკის გარემოსდაცვითი საკითხები განხილული საკითხები • ენერგეტიკული სექტორის გარემოსდაცვითი რეგულირება საქართველოში - ენერგეტიკული პროექტების განვითარებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების ანალიზი (მოკლე მიმოხილვა); • ენერგეტიკული პროექტების გარემოზე მდგრადი მიდგომებით განვითარების მიზნით დადგენილი პროცედურების შესრულების დაცვა და ხარისხი (შეფასების მეთოდოლოგიის სიცხადე, პროცედურის ვადები, ხარისხი, პასუხისმგებელ პირთა ვალდებულებები); • არსებული პროცედურების პრაქტიკულ განხორციელებასთან დაკავშირებული ხარვეზები (გარემოსდაცვითი პროცედურების და ინსტიტუციური შესაძლებლობების ადეკვატურობა); • ჩართული მხარეების მოტივაციის, ინფორმირებულობის და შესაძლებლობების შეფასება; • დასკვნები და რეკომენდაციები გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების და მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვის მიმართულებით ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში.	18.02.2022
5	განახლებადი ენერგიის განვითარება განხილული საკითხები: • განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენების არსებული მდგომარეობის შეფასება; მთავარი გამოწვევები; • საკანონმდებლო ბაზა და განახლებადი ენერგიის ხელშემწყობი მექანიზმები • განახლებადი ენერგიის განვითარების მიზნები და ამოცანები; • განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის წარმოების და მოხმარების სამიზნე მაჩვენებლების მიღწევის ტრაექტორიები (სცენარები); • განახლებადი ენერგიის განვითარების პოლიტიკა, წახალისების და მხარდამჭერი მექანიზმები.	22. 02.2022
6	ენერგოეფექტურობა განხილული საკითხები: • ენერგოეფექტურობის მდგომარეობა. ძირითადი მაჩვენებლები და მთავარი გამოწვევები; • საკანონმდებლო ბაზა და ხელშემწყობი მექანიზმები (ჰორიზონტალური და ქვე-სექტორული); • ენერგოეფექტურობის სამიზნე მაჩვენებლები; • ენერგოეფექტურობის განვითარების პოლიტიკა ტრაექტორიები (სცენარები შუალედური მაჩვენებლებით).	24. 02.2022

7	კვლევა და ინოვაცია განხილული საკითხები: • ძირითადი გამოწვევები • ქვეყნის განვითარების ამოცანებთან კავშირი • საერთაშორისო თანამშრომლობა • ეროვნული და ენერგეტიკასთან დაკავშირებული კვლევებისა და ინოვაციების მონიტორინგის და შეფასების სისტემა, სტატისტიკა.	7.03.2022
8	სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვა განხილვაზე წარმოდგენილი იყო დეტალური ინფორმაცია თითოეული თავის შესახებ, მიღებული შენიშვნებისა და მათი სტატუსის შესახებ.	27.07.2022
9	სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო სამუშაო ვერსიის საჯარო განხილვა კერძო და მესამე სექტორის წარმომადგეენლებთან შეხვედრა დაეთმო ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა: • საკანონმდებლო და პროცედურული მოთხოვნები – დოკუმენტის დანიშნულება და შინაარსი; • ჩატარებული პროცესი და მიღებული გაკვეთილები; • დოკუმენტის საბოლოო სამუშაო ვერსიის ძირითადი ნაწილები და მთავარი მომენტები; • მიღებული შენიშვნები და მათი ასახვა დოკუმენტში; • შემდგომი ნაბიჯები და რეკომენდაციები.	1.12.2022

<u>საზოგადოების მონაწილეობა სკოპინგის ეტაპზე</u>

2022 წლის 21 დეკემბერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ სკოპინგის განცხადებით მიმართა სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს“ და სსიპ „დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს“. აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, საზოგადოების მონაწილეობა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ეტაპზე, სავალდებულო არ არის. თუმცა, სკოპინგის განცხადებისა და სტრატეგიული დოკუმენტების გასაჯაროების შემდეგ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციატივით, 2022 წლის 28 დეკემბერს, ჩატარდა შეხვედრა დაინტერესებულ მხარეებთან.

შეხვედრა ჩატარდა ონლაინ ფორმატში და მასში მონაწილეობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, დამოუკიდებელი ექსპერტები და აკადემიური სექტორის წარმომადგენლები. შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა სკოპინგის ანგარიშის შემუშავების მეთოდოლოგია და ის

ზემოქმედებები, რომლებიც მიჩნეული იქნა „მნიშვნელოვნად“ სკოპინგის ანგარიშზე მომუშავე ექსპერტთა გუნდი მიერ სფეროების მიხედვით.

მონაწილეების მხრიდან დასმული კითხვებიდან გამომდინარე, შეხვედრის ნაწილი დაეთმო საკანონმდებლო მოთხოვნებისა და პროცედურული საკითხების მიმოხილვას. მონაწილეებს განემარტათ, რომ სკოპინგის ანგარიში შემუშავდა სწორედ საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით და ეთხოვათ წერილობითი სახით შენიშვნების წარმოდგენა კანონით განსაზღვრულ ვადებში.

რაც შეეხება შინაარსობრივ საკითხებს, მონაწილეების მხრიდან წამოწეული იქნა ისეთი თემები, როგორიცაა მაგალითად, შეიპ ფაილების წარმოდგენა, ალტერნატიული სცენარების განხილვა, ზოგიერთი მთავრობის მიერ დეკლარირებული პროექტის (მაგ. შავი ზღვის გადამცემი ხაზის) შესახებ ინფორმაციის დამატება, სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობის უფლებების საკითხის ჯეროვნად წარმოჩენა და ა.შ. მონაწილეთა შეკითხვებზე, კითხვის შინაარსიდან გამომდინარე, პასუხის გაცემა ხდებოდა, როგორც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხრიდან (ძირითადად სტრატეგიულ დოკუმენტებთან დაკავშირებულ კითხვებზე), ასევე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა (პროცედურულ საკითხებზე) და სკოპინგის ანგარიშზე მომუშავე გუნდის წარმომადგენლების მიერ (კონკრეტულ თემატურ საკითხზე).

აღნიშნული საჯარო განხილვის ვიდეო ჩანაწერი გაეგზავნათ შეხვედრის მონაწილეებს.

ენერგეტიკულ პროექტებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის მექანიზმი

გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის მიმართულებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით. კერძოდ, ენერგეტიკული პროექტები, რომლებიც ხასიათდებიან მნიშვნელოვანი პოტენციური უარყოფითი ზემოქმედებით გარემოზე ექვემდებარებიან გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია საზოგადოების მონაწილეობაც.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ იქნა აღწერილი, არსებობს პრაქტიკა, როცა სამინისტრო საკუთარი ინიციატივით აწყობს საჯარო კონსულტაციებს/განხილვებს დაინტერესებულ მხარეებთან ამა თუ იმ საკითხზე საქართველოს მოსახლეობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე.